პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 11 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# ფიცელი ახომიცი

154 (852) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში დანიშნულია ტფილისის საბჭოს სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. კოჯორის რკინის გზის გაყვანის შესახებ,
2. სამგორის არხის მოწყობის შესახებ,
3. საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა აღნიშნულ დროზე სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## ეს ცდებიც უნაყოფოდ დასრულდება.

ამჟამად საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ინგლისთან, ისეთი გართულებული ურთიერთობაა, რომელიც მოგვაგონებს ორი წლის წინეთ ცნობილ კერზონის მიერ გამოგზავნილ კუდამოძუებულ ულტიმატუმის ხანას. იმპერიალისტურ სახელმწიფოების აგრესიულ (შემოტევითი) პოლიტიკამ მუშა და გლეხთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ გამოხატულება ჰპოვა ინგლისის კონსერვატორულ მთავრობის წევრთა ჩვენს საწინააღმდეგო გამოსვლებში, ჩინეთში —ინგლისის კოლონიალურ ხელისუფლების აშკარა მტრულ და უკანონო მოქმედებაში ჩვენს წარმომადგენელ ამხ. დოსერის მიმართ და იმ განგაშში, რომელიც შედეგად მოჰყვა გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების საქმეზე სამართლიან განაჩენის გამოტანას.

თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ახლანდელი მთავრობა ხელოვნურად აჭიანურებს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ ბარიკადებს, იქით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რაღაც ფარული მზადებაა, რომელიც ამ რიგად ისე, როგორც მრავალჯერ წინეთ წყლის ნაყვით დასრულდება, რადგან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შინაგან წინააღმდეგობათა გამო შეუძლებელია მათი შეთანხმება ამ საკითხის გარშემო.

რითია შესაძლებელი დასრულდეს ეს შემოტევა?

ინტერვენციაზე და ომზე ისინი არ წამოვლენ. საამისო გაკვეთილები მათ საკმაოდ აქვთ—ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული, როდესაც მას ჩამოშორებული ჰქონდა ძალით ნავთის და ქვანახშირის რაიონები, საიდანაც მას უნდა მიეღო ბრძოლის საარსებო წყაროები, მუშებმა და გლეხებმა შესძლეს იმპერიალისტების ზღვაში გადაგდება. განა ნებას დართავს ინგლისის პროლეტარიატი თავის ბურჟუაზიას ჩვენზე გამოილაშქროს? რომ ბურჟუაზიის ასეთ შავ ზრახვების განხორციელებას მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლება ინგლისის პროლეტარიატი, ეს ნათლად სჩანს ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს გუშინდელ წერილიდან. ჩვენ კარგათ გვახსოვს ის გმირული ძმური დახმარება, რომელიც გაგვიწიეს ინგლისელმა პროლეტარებმა ვრანგელის ზღვაში გადაგდების საქმეში. დღეს კი კაპიტალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ აღმართულია მუშა და გლეხთა რესპუბლიკების უძლეველი საბჭოთა კავშირი, რომლის პოლიტიკური და ეკონომიური აღორძინება ცხადია თვით მტრებისთვისაც კი. და სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა, რომ აიძულებს მათ გადადგან ასეთი ნაბიჯი, რომ ხელი შეუშალონ ჩვენ ეკონომიურ ზრდას, მაგრამ ეს ცდები მათ ამაოთ ჩაუვლის.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი დღეს აღარ საჭიროებს იმ ნაწილობრივ ფინანსიურ დახმარებას, რომელიც მისთვის იქნებ საჭირო იყო რამოდენიმე წლეების წინეთ.

საბჭოთა კავშირი, თავისი მუშა და გლეხების თავდაუწყებულ ბრძოლის და შრომის საშუალებით და მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებით, მტკიცედ სდგას საკუთარ ფეხზე და ვერავინ, ვერავითარი მუქარით და უნაყოფო ცდებით ვერ შეაჩერებს მის გამარჯვებულ წინმსვლელობას.

# ახალი რადიო-ამბები

## ხმები-ბრიტანეთის მთავრობაში უთანხმოების შესახებ.

კონსერვატიულ პარტიაში დიდი უთანხმოებაა მნიშვნელოვან საკითხებში. ეს საკითხებია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა, კრიზისი ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში, მდგომარეობა ინგლისის რკინის გზებზე, მდგომარეობა ინდოეთში, საგარანტიო ხელშეკრულება და საკავშირო ვალები.

ხმებია, რომ მოსალოდნელია ცვლილება მთავრობაში.

## ბურჟუაზიული გაზეთების ცილისწამების გაბათილება.

მოსკოვიდან ბერლინში დაბრუნდა საბჭოთა სამართლის მცოდნე ვექილი ფრეინდი, რომელიც ოფიციალურ მეთვალყურედ იყო გერმანიის სტუდენტ—ფაშისტების გასამართლებაზე.

ფრეინდი ოფიციალურად აბათილებს ბურჟუაზიული გაზეთების სიცრუეს საბჭოთა სასამართლოს შესახებ.

ფრეინდის განცხადებამ უნდა შეარბილოს, გერმანიის გაზეთების მკაცრი ტონი საბჭოთა კავშირის მიმართ პროცესის გარშემო. ფრეინდი მიღებულ იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც გააკეთა მოხსენება პროცესის შესახებ.

## განიარაღებული გერმანია.

ამ დღეებში ვარშავაში გახსნილ „ერთა ლიგის მეგობართა საზოგადოების“ საერთაშორისო გაერთიანების ყრილობაზე გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელმა ბერნსდორფმა განაცხადა, რომ გერმანია ერთად ერთი განიარაღებული ქვეყანაა და ერთა ლიგის მუხლი, რომელიც ეხება მშვიდობიანობის დამრღვევთ, არ შეიძლება გავრცელებულ იქნას გერმანიაზე.

გერმანიის არავითარ მთავრობას არ შეუძლია ამ მუხლზე შეთანხმება.

## ჯალათთა მართლმსაჯულება.

### სიკვდილით დასჯა ბულგარეთში.

სოფიის საკასაციო სასამართლომ დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს განაჩენი პოლკოვნიკ მილტენოვიჩისა და 8 სხვათა საქმეზე, რომელთაც ბრალდებოდათ სახელმწიფო ღალატი. მალტენოვს, მაიორ მილანოვს კაპიტან კროტნევს, ბრალდებულ ანგელოვას, კოტცევსა და პეტროვს მიუსაჯეს სიკვდილი. ტენჩევს მიუსაჯეს 8 წლის და მელჩეკს—4 წლის ციხე.

## ცანკოვი განაგრძობს ვერაგულ მკვლელობას.

7 ივლისს ბულგარეთში მოკლულ იქნა ორი ჟურნალისტი, რომლებიც მტრულ განწყობილებაში იყვნენ ცანკოვის მთავრობისადმი.

ერთი მათგანი მოკლულ იქნა ციხის საკანში, მეორე—ტატარბაზარჯიკში, სადაც უნდა მომხდარიყო მისი დაქორწინება.

## ოსმალეთის ელჩის მიერ რწმუნების ბარათის ჩაბარება.

ოსმალეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ზაკაი—ბეიმ ჩააბარა კალინინს რწმუნების ბარათები.

## მოსკოვ-მონღოლეთ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია




ექსპედიციის ერთი თვითმფრინავი „ლატიშელი მსროლელი“ მთლიანად აგებულია საბჭოთა ქარხნებში.

## მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია.

9 ივლისს დილის 5 საათზე მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია აფრინდა ურგადან უდეს მიმართულებით უდაბნო გობზე.

ეს გადაფრენა შესრულებულ იქნა მეტად მძიმე პირობებში, ვინაიდან ქარი და წვიმა უშლიდა გადაფრენას.

უდეში დაფრენის დროს ერთი ჰაეროპლანი დაზიანდა, რომლის შეკეთება შეიძლება ექსპედიციისავე საშუალებით.

შემდეგ ექსპედიცია გაფრინდა მაისტანისკენ. სულ ექსპედიციამ დაჰყო ჰაერში 55 საათი და გაიარა მოსკოვიდან 6.500 კილომეტრამდი.

## პოლონეთის სეიმის დეპუტაცია ეპირება საბჭოთა კავშირში გამომგზავრებას.

პოლონეთის სეიმის დეპუტატებს შორის განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირში გამომგზავრების შესახებ უკანასკნელის მდგომარეობასთან გაცნობის მიზნით.

მათი მიზანია მეტნაწილად გაეცნონ მიწადმოწყობის მდგომარეობას ჩვენში.

## დიპლომატიური გადანაცვლება.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ჩერნიხი დანიშნულია სრულუფლებიან წარმომადგენლად ლატვიაში.

ფინეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ლორენცი, სრულუფლებიან წარმომადგენლად ლიტვაში დანიშნულია ალექსანდროვსკი.

## „აშკარა ახსნილი რეაქცია“.

### „იზვესტიას წერილი“.

„ბირკენხედის, ხოგგის, რობერტ გორნის და სხვათა გამოსვლა გვიჩვენებს, თუ რა სახით წამოჰყო თავი უკიდურეს მემარჯვენე მიმართულებამ ინგლისის კონსერვატორულ წრეებში.

სხვა და სხვა გზით ინგლისის კონსერვატორები ძალადობას „ახდენენ საფრანგეთის მმართველ წრეებზე და სცდილობენ ჩააბან საფრანგეთი ანტისაბჭოთა მოძრაობაში. გერმანიის პრესის სასტიკი კამპანია რომელიც სწარმოებს ფაშისტ-სტუდენტების გასამართლებასთან დაკავშირებით, ცხადია ერთ-ერთი სახეა ინგლისელების გავლენისა გერმანიის ბურჟუაზიულ პარტიებზე. ინგლისის შავ რაზმელების მოქმედებასთან დაკავშირებულია აგრეთვე ის ავანტიურული გამოსვლები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პოლონეთის მხრივ ამ ბოლო ხანებში. ინგლისის კონსერვატიულ პარტიაში მემარჯვენე მიმდინარეობა სცდილობს ჩაითრიოს ჩემბერლენი, პრემიერი და აგრეთვე ამ პარტიის უფრო ზომიერი წევრები.

ამ პარტიაში გაჩაღებულ შინაგან ბრძოლას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო ურთიერთობის შემდეგ მსვლელობაში“.

ორშაბათს, 13 ივლისს, დილის 12 საათზე, ქ. ტფილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. ტფილისის საბჭოთა ყრილობის და მის ორგანოთა დებულების პროექტის განხილვა.
2. სამგორის არხის მოწყობის შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

**პრეზიდიუმი.**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ტფილისისა და მისი რაიონების გარნიზონისადმი.

**10 ივლისი 1925 წ. №52. ქ. ტფილისი.**

**გარნიზონის უფროსმა ბრძანა**

**§ 1.**

ა. წ. 12 ივლისს, დღის 11 საათზე ავიოქიმის. წლისთავის გამო კარნავალის დროს, ქალაქის 4 წერტში, სახელდობრ: ნაძალადევში, რუსთაველის გამზირზე, პლეხანოვის გამზირზე და კახეთის მოედანზე იწარმოებს სროლა ამაო ვაზნებით ჰაეროპლანებზე, რომლებიც გადმოიფრენენ ქალაქზე.

ვინაიდან სალიუტების დროს ადგილი ჰქონდა კერძო სროლას ზოგიერთ პირების მიერ, ცხადდება მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ყოველგვარი კერძო სროლა კატეგორიულად იკრძალება.

ამის დამრღვევი პირები მყისვე დაპატიმრებულ იქნებიან და პასუხისგებაში მიიცემიან.

**§ 2.**

ქალაქის მილიციის უფროსმა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებას.

ქ. ტფილისისა და მისი რაიონების კომენდანტი **აბაშიძე.**

## ამუნდსენის ახალი გეგმა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამუნდსენმა გამოსთქვა იმედი, რომ ის შესძლებს ექსპედიციის მოწყობას უცნობ პოლიარულ მხარეების გამოსარკვევად ჩრდილოეთ პოლიუსსა და ალიასკას შორის.

## ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

9 ივლისს შრომის სახალხო კომისარმა შმიდტმა წაიკითხა შრომის სასახლეში მოხსენება სამუშაო ხელფასის შესახებ.

მან განაცხადა, რომ სამრეწველოს მუშათა საშუალო ხელფასი ამ ჟამად აღწევს 76 პროცენტს ომამდე არსებულთან შედარებით.

1925—26 წელში ჩვენ ავამუშავებთ დღემდის გაჩერებულ ქარხნებს, რომლებიც სავსებით დატვირთულ იქნებიან; ხოლო 1926—27 წელში ჩვენი მრეწველობა აშორდება ომამდე არსებულ დონეს.

ეს ზრდა უნდა დაეტყოს მუშათა კლასის მდგომარეობას და გადიდდეს სამუშაო ხელფასი.

უმუშევართა რიცხვი კლებულობს.

შმიდტმა ხაზგასმით აღნიშნა კოლექტიურ ხელშეკრულებათა გატარების აუცილებლობა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მასიურ მონაწილეობით.

## ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.

**(ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ)**

8 ივლისს დაახლოებით ღამის თორმეტის ნახევარზე, არსენალის რაიონში, საარტილერიო საწყობს იქით მდებარე ერთ-ერთ ფარდულში გამოურკვევ მიზეზების გამო გაჩნდა ცეცხლი. ამ ფარდულში ეწყო სამხედრო უწყებისათვის გამოუსადეგარი და სამოქალაქო სამეურნეო ორგანიზაციისათვის მისაყიდათ დანიშნული ასაფეთქებელი მასალები.

ფარდულთან და სხვა საწყობებთან მდგომმა დარაჯებმა, შენიშნეს თუ არა ცეცხლი, რამოდენიმეჯერ გაისროლეს თოფებიდან, ნიშნის მისაცემად, რომ ფარდულს საფრთხე მოელის.

11 ს. 35 წ. მოხდა აფეთქება—აფეთქდა ფარდულში თავმოყრილი მასალები.

აფეთქების დროს არავინ არ მომკვდარა. საგუშაგოებზე, აფეთქების ადგილას ახლო მდგომი რამდენიმე წითელი-არმიელები მსუბუქად დაიჭრა.

არსენალის არც ერთი საწყობი არ დაზიანებულა. ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად სამხედრო უწყებამ გამოჰყო კომისია, რომელმაც დაადასტურა, რომ ცეცხლი ფარდულში გაჩნდა შემთხვევით და რომ, ყოველ შემთხვევაში, არ მოიპოება ცნობები, რომ აქ ბოროტ განზრახვას ჰქონდა ადგილი.

როგორც დარაჯები, ისე აფეთქების ადგილას გამოწვეული ჯარის ნაწილები მეტად ენერგიულად მოქმედებდენ.

## მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ცენტრალურ ქაღალდის ტრესტმა მიიღო გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში 7 მილიონზე მეტი მოგება.

ამ ჯამიდან 700.000 მანეთამდი გადადებულ იქნა მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდისთვის.

## შინა ვაჭრობის კომისარიატის განმარტება,

ადგილებიდან მიღებულ შეკითხების გამო საბჭოთა კავშირის საშინაო ვაჭრობის კომისარიატმა განმარტა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება—გლეხებზე სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეღავათიან ფასებში მიცემის შესახებ, არ ვრცელდება 1924—25 წელში სახელმწიფო ქარხნებში დამზადებულ მანქანებზე.

## ყაჩაღების ჯგუფის აღმოჩენა.

ნუხაში აღმოჩენილ იქნა ყაჩაღების დიდი ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ქალაქში 1923 წლიდან და მოახდინა 25 მეტი შეიარაღებული თავდასხმა და საწყობების გაძარცვა, რაც დღემდის გამოურკვეველი იყო.

დაპატიმრებულია ორგანიზაციის 6 წევრი, რომლებიც ყველაფერში გამოტყდენ. თურმე ესენი ღამით ძარცვავდენ, დღისით კი ვაჭრობდენ თავიანთ დუქნებში.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

**რა და რა შეჯიბრები უნდა გავატაროთ და რა მიზნი[...] ტარდებიან ისინი.**

5 ივლისს არტილერიის ნაწილებმა დაიწყეს შეჯიბრი, რომელიც გაგრძელდება თითქმის თვის ბოლომდი. შეჯიბრი დაიწყო ჯილდოიან სროლით ქვემეხებიდან.

შემდეგ გაიმართება შეჯიბრი ქვემეხებით მოძრაობაში, შეჯიბრი მჭედლების, მძიებლების, კავშირის გუნდების, ბატარეების 20 ვერსით გარბენაზე და ბოლოს დამთავრდება შეჯიბრის პერიოდი არტილერიაში და ჯავშნოსან ნაწილებში ბატარეებსა და ჯავშნოსან მატარებლებს შორის შეჯიბრებით.

საერთო შეკრების პერიოდში, სწავლების ნორმალურ გეგმის თანახმად, გატარებულ იქნება არმიის სხვა და სხვა ნაწილებში შეჯიბრის სხვა და სხვა სახე, სახელდობრ: 1) **სროლა**, როგორც ცალკეული (ინდივიდუალური), ისე ჯგუფური (კოლექტიური) თოფით, ხელით სასროლ და დაზგის ტყვიამფრქვევით 2) **თვალზომისით მანძილის განსაზღვრა**, 3) **გრანატის ტყორცნა**

გარდა ამისა **ცხენოსან ნაწილებში**, გარდა აღნიშნულისა გატარებულ იქნება, შეჯიბრი „სამწყობრო ცხენი საუკეთესოდ გამოსვლაში“, „ცივი იარაღის საუკეთესოდ ხმარებაში“ (ხმალი, შუბი), ესკადრონების შეჯიბრი ძიებაში, საველე ნავარდში, მდინარეზე გადასვლაში და სხვა.

**სპეციალ ნაწილებში** (საინჟინრო და საკავშირო ნაწილებში), გარდა სროლაში შეჯიბრისა, მოხდება შეჯიბ[...] თავის სპეციალობისდა მიხ[...]ვით.

ბოლოს ყველა ნაწილებ[...] მოხდება შეჯიბრი ფიზიკ[...] მომზადებაში (სასპორტო შ[...]ჯიბრი).

ყოველი შეჯიბრებისთვ[...] დაწესებულია განსაკუთრებულ[...] პირობები.

რატომ ხდება ასეთი შეჯიბრი, რა გავლენას ახდენს [...] სწავლების წარმატებაზე?

ყველასათვის ცხადია, რ[...] შეჯიბრი იწვევს ინტერ[...] ამა თუ იმ საქმის შესწავლაშ[...]

თვითეულ მეომარს შე[...]ლია თავი გამოიჩინოს და ა[...] მარტო ერთი რომელიმე სა[...]მეში, (ვსთქვათ სროლაში) არ[...]მედ სწავლების სხვა დარგე[...]შიაც, მაგ. ძიებაში, დაბრკ[...]ლებათა ძლევაში, ადგილთ[...] შეხამებაში (შენიღბვაში) [...] სხვა.

ხოლო ეს კი ნიშნავს და[...] მტკიცო ყველას, სწავლებ[...] მისთვის ტყილა უბრალო[...] არ ჩაუვლია.

რაც შეეხება იმ ცალკე მ[...]ომრებსა და ნაწილებს, რო[...]ლებიც უკან ჩამორჩებიან, [...]ათ უნდა დაეწაფონ მთელ[...] ენერგიით სწავლებას და მომ[...]ვალ შეჯიბრზე დაეწიონ თავ[...] დაწინაურებულ ამხანაგებს.

ამრიგად, ყოველ მეომარ[...] აქვს საშუალება გამოიჩინო[...] თავისი წარმატებანი. საჭირო[...] მხოლოდ გაძლიერებით ემზ[...]დო და ეცადო პირველი ად[...]გილის დაჭერას. **პ.**

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

**ᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲜ[...] ᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.**

**ფოსფორით განოყიერება.**

გარდა შინაური საქონლისა და ფრინველების პატივისა, რომელიც ჩვენში იხმარება მეტად განსაზღვრული რაოდენობით, რამოდენიმე წლის წინად ცენტრალურ რუსეთის ორ-სამ გუბერნიაში შემოიღეს ისეთი დაპატივება, როგორც მაგ. დამწვარი და დაფრქვეული ძვლები და ფოსფორიტები, ე. ი. ერთგვარი ფოსფოროვანი მიწა ანუ მადანი. გლეხებმა შეამჩნიეს, რომ ასეთი ნივთიერების მოყრით მიწაზე, მოსავალი უმჯობესდებოდა. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ასეთი ნივთიერებანი შეიცავენ „ფოსფორს“, რომელიც საჭიროა მცენარის საზრდოდ. მაგრამ სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ყველა ეს ნივთიერებანი მეტად ცოტა მოიპოვებოდა და მათი შეძენა საკმაო რაოდენობით შეუძლებელი იყო. ფოსფოროვან ნივთიერებათა საჭირო რაოდენობის შეძენა შეიძლება მხოლოდ ქიმიურ საშუალებით ნედლი მასალიდან, რომელიც მოიპოვება მიწაში. ასეთ ნედლ მასალას წარმოადგენს ფოსფორიტები, რომლებიც დიდძალი რაოდენობით მოიპოვება ჩვენში. ფოსფორიტების მდიდარი ჩანაწოლი ჩვენში მოიპოვება კავკასიაში, ციმბირში და სხვა ადგილებში.

გერმანიაში უკვე ასი წლის წინად გაუწიეს ანგარიში „ფოსფოროვან დაპატივების“ მასიურ ქიმიურ დამუშავების აუცილებლობას, ამიტომაც მოსავალი გერმანიაში ორ-სამჯერ აღემატება ჩვენს მოსავალს.

თუ ჩვენ გამოვიყენებთ ნედლი მასალის მარაგს ფოსფორი[...]ტების მასალებად და განვავ[...]თარებთ ქიმიურ მრეწველობა[...] ჩვენ ამით ავამაღლებთ ქვეყნ[...] კეთილდღეობას. ფოსფორი[...] ბის ქიმიურ მრეწველობის გა[...]ვითარებით ჩვენ შეგვიძლია მ[...]ვიღოთ ამ სამრეწველოებშ[...] წმინდა ფოსფორი, რომელი[...] აუცილებელია სამხედრო საქ[...]მეში ცეცხლის მჩენი გრანატე[...]ბის, ვაზნების, კვამლის ფარ[...]დებისა და სხვა დიდმნიშვნე[...]ლოვან ნივთიერებათა დასამზა[...]დებლად.

ამრიგად ქიმიური მრეწვე[...]ლობის ამაღლებით, ჩვენ ვქ[...]ნით აუცილებელ პირობებ[...] მშვიდობიან ცხოვრების გასა[...]უმჯობესებლად და ვამაღლებ[...] სამხედრო ძლიერებას.

**კალით განოყიერება.**

ქიმიურ მრეწველობის გან[...]ვითარება ჩვენ მოგვცემ[...] საშუალებას მივიღოთ მე[...]ტად მნიშვნელოვანი განოყივ[...]რების მესამე ტიპი, რომელი[...] შეიცავს კალის და მიტომა[...] ეწოდება „კალით განოყიერე[...]ბა.“ ასეთი განოყივრების სა[...]შვალებათაგან სასოფლო მეურ[...]ნეობაში უმთავრესად იხმარე[...]ბა ნივთიერება, რომელსა[...] ეწოდება „ქლოროვანი კალი.“

„კალის“ მნიშვნელობა მდ[...]გომარეობს იმაში, რომ ი[...] ადიდებს წონას, სიმკვრივეს[...] ფქვილიანობას, მასაზრდოებე[...] ნივთიერებას ხორბალში, ხო[...]ლო ის მცენარეები, რომლებ[...]საც არ ჰყოფნით კალი, იძლე[...]ვიან გამხდარ, უფქვილო, არ[...] მასაზრდოებელ ხორბალს და სხვა.

**ლ. ვორონოვი.**

## ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ.

მსოფლიო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგათ ყოფ. რუსეთის ტერიტორიაში შემავალ მუშებსა და გლეხებს, ძალა-უფლების აღების შემდეგ, დარჩათ ყოველმხრივ გალატაკებული და დანგრეული ქვეყანა.

ხსენებული ომების წყალობით სულ ერთიანათ მოიშალა სასოფლო მეურნეობა და ქალაქის ყოველგვარი წარმოება. ამის გამო მშრომელი ხალხი ჩავარდა აუტანელ მდგომარეობაში—სიღარიბესა და სიტიტვლეში.

ქალაქებში გამრავლდა უმუშევართა რიცხვიც.

საერთო ეკონომიური მდგომარეობა მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი კიდევ უფრო გაართულა რამოდენიმე წლის მოუსავლობამ რუსეთის მრავალ გუბერნიებში.

ასეთ პირობებში წარმოებაში ჩაბმული მუშების ეკონომიური მდგომარეობა იყო ძლიერ ცუდი ხელფასის სიმცირის გამო.

რომ ს. ს. რ. კავშირის მშრომელ ხალხს თავი დაეღწია და გადაელახა ეს აუტანელი მდგომარეობა, ამისათვის საჭირო იყო წარმოუდგენელი შრომის დახარჯვა და მედგარი ბრძოლა ეკონომიურ ფრონტზე.

მართლაც ს. ს. რ. კავშირის მშრომელი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა ამ ფრონტზედაც, ისე, როგორც სამხედროზე, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის სწორი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა შესძლო აღედგინა გაველანებული და დანგრეული სოფლის მეურნეობა და ქალაქის ყოველგვარი წარმოება.

წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება მუშების ხელფასი და მათი ეკონომიური მდგომარეობა, და უმუშევრობა ქალაქებში თანდათან მცირდება.

აშკარაა ჩვენს დღევანდელ წარმოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის დროინდელ წარმოებამდე. მაგრამ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლეებისა და თითქმის თვეების განმავლობაში ჩვენი წარმოება გიგანტიური ნაბიჯით წინ მიდის და მუშების მდგომარეობაც უმჯობესდება, დამამტკიცებელია იმისი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მუშებისა და გლეხების მტკიცე კავშირით შეუძლია გაუძლვეს წარმოებას და ამით გადააჭარბოს ომის დროინდელსაც.

უდავოა, რომ ამ შემთხვევაში მუშების ეკონომიური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება და გაიზრდება მათი ხელფასიც.

ამის შესახებ დღევანდელ ჩვენს გაზეთებში იბეჭდება დეპეშები, სადაც აღნიშნულია. რომ ცენტრალურ ქაღალდის ტრესტმა წარსული საოპერაციო წლის განმავლობაში მიიღო 7 მილიონზე მეტი წმინდა მოგება, რომელ თანხიდან 700.000 მანეთამდე გადარიცხულ იქნა მუშების მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ფონდში.

ამავე მიზნისათვის „იუგოსტალმა“ გადასდო მილიონ ნახევარი მანეთი, თავის მოგებიდან.

აი რას ამბობს ამის შესახებ შრომის სახალხო კომისარი ამხ. შმიდტი: „სამრეწველო მუშათა ხელფასი ამ ჟამად აღწევს 76 პროც. ომამდე არსებულთან შედარებით. 1925—26 წელში ჩვენ ავამუშავებთ დღემდე გაჩერებულ ქარხნებს.. ხოლო 1926—27 წელში ჩვენი მრეწველობა გადაშორდება ომამდე არსებულს.

ეს ზრდა უნდა დაეტყოს მუშათა კლასის მდგომარეობას და გადიდდეს სამუშაო ხელფასი. უმუშევართა რიცხვიც კლებულობს“.

**ემი.**

# კულტ-განმანათლებელი მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## ჩვენი წრეების მუშაობა.

**2-რე ცალკე საკავშირო ასეული.**

მე-2 ცალკე საკავშირო ასეულში დაწყებულია სხვა და სხვა წრეების მუშაობა, როგორიცაა ახ. მოძრ. შემასწავლელი, ლიტერატურული, მომღერალთა, დრამატიული და სპორტ-წრეები. ხელმძღვანელები უკვე გამოყოფილია, დრო დანიშნულია ყოველ კვირაში შეფარდებულ თავისუფალ-დროსთან.

ყველა წრეებში მუშაობას, როგორც ცვალშემადგენლობა, ისე კადრის არმიელები ეკიდებიან გულმოდგინეთ.

როდესაც საერთო კრებაზე, დაისვა კითხვა იმის შესახებ, რომ წრეების მეცადინეობის დრო განვსაზღვროთო, უკმაყოფილება გამოაცხადეს წევრებმა:—რამდენიც დრო გვექნება, და ძალა შეგვწევს იმდენს ვიმეცადინებთო.

წრეების ხელმძღვანელებს, აქვთ შემუშავებული მეცადინეობის გეგმა ამ ზაფხულის პერიოდისთვის. ახალგაზრდობის მოძრ. შემსწ. წრეში, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ და მხოლოდ ახ. ლ. კ. კავ. წევრებისათვის, უპარტიო ახალგაზრდებიც მასიურად აცხადებენ მასში მეცადინეობის სურვილს. მხოლოდ დაბრკოლება იმაშია, რომ ხელმძღვანელი ერთი არის, და წრეში ირიცხება 45-50 კაცამდე.

წრეებისათვის საჭირო მასალა, თანდათან იქნა შეძენილი.

სამხკორი **ტ—პოსტი.**

## კოოპერაციის დღე ჩვენთან.

მე-2-ე არტ-ლეგიონის სხვაუბიცო დივიზიონში მოწვეულ იქნა ძირითად და ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა გა რთიანებული კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბრეგვაძემ კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე. მომხსენებელმა ფართოდ და გასაგები ენით განუმარტა დამსწრეთ კოოპერაციის ისტორია და მისი დანიშნულება.

ცვალებად შემადგენლობის ზოგიერთ წითელ არმიელთათვის ამხ. ბრეგვაძის მოხსენება გაუგებარი დარჩა, რადგან მოხსენება იყო ქართულ ენაზე. ამიტომ რუსულ ენაზე იმავე დღის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბადამშიმ.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლებმა გასცეს სათანადო პასუხი.

ამ კრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე და კოოპერაციის დღის მნიშვნელობაც გასაგები იყო ყველასათვის.

**წ. არმიელი ს. ჭანტურიშვილი.**

## მე-2-ე ცალკე მესანგრე ასეულის ლენინის კუთხე.

აღნიშნული კუთხე მესანგრე ასეულში ერთი შეხედვით წარმოადგენს აბნეულ კლუბს. განყოფილებები არ არის დანაწილებული თავის შინაარსის და მორთულობის მიხედვით.

საგულისხმოა, კუთხის ცენტრალური ადგილი „ჩვენი პარტია.“

აქ თქვენ ნახავთ, ისეთ სურათებს და პლაკატებს, რომლებიც სრულებით გამოუსადეგარი და არა საჭირონი არიან ამ კუთხისათვის. კუთხე დატვირთული არის ერთი და იმავე სურათებით, მაგ. ლენინის სურათი არის სამი და სხვა. განყოფილებებს არა ყავთ თავიანთი ხელმძღვანელები, რომლებიც პროპორციონალურ მუშაობას უნდა აწარმოებდნენ თითეულ კუთხეში. ყველა კუთხეებს განაგებს ერთი კაცი, რომელსაც რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს კუთხის მოწყობის მაინც ვერ შესძლებს.

ეს ნაკლი აუცილებლად გასადევნია მესანგრე ასეულის ლენინის კუთხიდან.

**ტრანსპორტი.**

## საჭიროა უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

**მე 6 ე ტერლეგიონი.**

ხსენებული ლეგიონის ბიბლიოთეკაში საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი შინაარსის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიდაც ხშირად შეხვდებით აუარებელ უცხო სიტყვებს. მათი ახსნისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს უცხო სიტყვათა ლექსიკონის ქონება.

ხშირად არის შემთხვევა, რომ წითელ-მოლაშქრეებს მოაქვთ სამკითხველოს გამგესთან ან პოლიტ-ხელებთან ჩამოწერილი უცხო სიტყვები, რაზედაც თხოულობენ საჭირო ახსნა-განმარტებას. ეს კი ლექსიკონის უქონლობის გამო ხ ნდისხან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, როგორც სამკითხველოს გამგეს, ისე თვით წითელ-მოლაშქრეებს, როცა ისინი ვერ ღებულობენ დამაკმაყოფილებელ ახსნა განმარტებას. მეტი თუ არა, ერთი უცხო-სიტყვათა ლექსიკონი მაინც უნდა იყოს მთელ ლეგიონში, რომლის შეძენის საშუალება, როგორც სჩანს, ბიბლიოთეკას არა აქვს.

იმედია ჩვენი დივპოლიტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექცია მოგვაქცევს ამ შემთხვევაში ჯეროვან ყურადღებას და მოგვაწვდის ერთ ცალ უცხო სიტყვათა ლექსიკონს მაინც.

სამხკორი **ნ. ა—ნი.**

## ჩვენი საქმიანობა.

**მეექვსე ლეგიონი.**

მართალია დიდი ხნის ისტორია არა აქვს ჩვენს ლეგიონს, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან ბევრი რამის გაკეთება შესძლო. განსაკუთრებით ძლიერ ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს ლეგიონის სპორტწრეში. არმიელები მეტის მეტი ინტერესით ეკიდებიან ვარჯიშობას და იმედი გვაქვს, რომ მომავალ საარმიო ოლიმპიადზე ჩვენი ლეგიონი სათანადო ადგილს დაიჭერს გამარჯვებულთა შორის.

ლეგთავი და სამხკომი დიდ დახმარებას უწევენ სპორტწრეს, მაგრამ რა უნდა ქნან, როდესაც მრავალი სავარჯიშო იარაღები გვაკლია და მათი შეძენისათვის კი საშვალებები არ მოგვეპოება.

კარგი იქნება, რომ ლეგიონს ამ საქმეში გამოეხმაურებოდეს ჩვენი დივიზია და მოგვაწვდიდეს საჭირო სავარჯიშო იარაღებს.

ახალწვეულებში ბევრია ისეთები, რომლებიც გაწვრთნილი არიან ვარჯიშში. ყველასათვის იარაღები არა გვაქვს, არადა მოთხოვნილება ძლიერ დიდია.

მოგვაქციეთ სათანადო ყურადღება და მოგვაწოდეთ სავარჯიშო იარაღები.

**წ. მეთ. შაორელი.**

## საღამო-წარმოდგენა ტერ-არმიელთა ძალებით.

კვირას 28 ივნისს, მე-2-ე საარტილერიო ლეგიონში ცვალებადელთა შორის ახლად არჩეულმა დრამატიულმა წრემ გამართა საღამო-წარმოდგენა. დაიდგა: „ბანდიტების შემოჭრა საქართველოში“ და „ჩანჩურა“. აღნიშნული ვოდევილები კარგად ჩატარდა. ამ საღამოზე ადგ. ხორმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერები.

ეს პირველი გამოსვლაა საღამო—წარმოდგენებზე ტერ-არმიელთა მხრივ.

იმედია ისინი კიდევ უფრო გააფართოვებენ თავიანთ მუშაობას კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებში.

**ვლ. ნავრუზაშვილი.**

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ავირჩიეთ სამნეო კომისია.

**მე-6-ე ლეგიონი.**

9 ივლისს ჩვენი ლეგიონის კლუბში შესდგა ლეგიონის გაერთიანებული კრება, რომლის დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის იდგა სამნეო კომისიის არჩევნები.

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცინცაძემ, რომელმაც აუხსნა წითელ-არმიელებს სამნეო კომისიის დანიშნულება. მოხსენება გადათარგმნილ იქნა ქართულ ენაზედაც, რის შემდეგ არჩეულ იქნა სამნეო კომისია 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. კომისიაში არჩეულ პირთა უმრავლესობას შეადგენენ ცვალებადელები.

იმედია ეს ამხანაგები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას და ამ დარგის საქმეს დააყენებენ სათანადო სიმაღლეზე.

სამხკორი **ცუდლრისპირელი.**

## განვამტკიცოდ სამხედრო დისციპლინა.

**პირველი ლეგიონი.**

ამ რამოდენიმე დღის წინად მომხდარ პარტიულ კრებაზე, მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამხკომი ამხ. ბაახია, რომელიც უმთავრესად შეეხო სამხედრო დისციპლინის დაცვის აუცილებლობას. ამხანაგმა მოიყვანა მაგალითები, თუ ვის და როგორ დაურღვევია ლეგიონში დისციპლინა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ თითეულმა ჩვენგანმა და ყოველგვარი ზომები მივიღოთ, რომ შემდეგში არ დაუშვათ ის.

ამაზე ლაპარაკი მით უფრო სადღეისოა, რომ შეუგნებლად თუ შეგნებულად დისციპლინის დარღვევას დღესაც აქვს ადგილი ლეგიონში, რომელთა წინააღმდეგ ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ნაწილის მესვეურები, მაგრამ მაინც აქვს ადგილი.

აი ფაქტებიც; ლეგიონის ლეგთავისა და სამხკომის განკარგულებით, მოსამსახურეებისათვის აკრძალულია ლეგიონში უფორმოთ შემოსვლა, მაგრამ ზოგიერთი მეთაურები და წითელ არმიელებიც ხშირად არღვევენ მას.

ეს აუცილებლად არის დისციპლინის დარღვევა და საჭიროა ყურადღება მიაქციონ მას, როგორც დისციპლინის დამრღვევებმა, ისე მისმა დამცველებმა.

კიდევ ერთი ფაქტი: ხშირად წყობილებაში ჩვენი მეთაურები: ათისთავები, ზემდეგები, ოცის თავები და სხვა სრულიად არ ჩამოგავენ სამხედრო პირებს, რადგან სხვა და სხვაფერ და არა სამხედრო ტანსაცმელში არიან გამოწყობილი.

ამ მოვლენასაც საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო, რასაც იმედია ყურადღება მიექცევა შემდეგისათვის მაინც.

დისციპლინის დაცვის საკითხში, მთელი ლეგიონის შემადგენლობა, მეთაურები, არმიელები და სამხკორები ლეგთავსა და სამხკომთან უნდა იყვენ და მათ განკარგულებას ზედმიწევნით ასრულებდენ.

სამხკორი **ს. იმნაიშვილი.**

## სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს.

**პირველი ლეგიონი.**

გაზ. „წითელ-არმიელშიც“ იყო აღნიშნული ამ რამოდენიმე ხნის წინად, რომ პირველ ლეგიონში სასმელი წყალი უვარგისია, მხოლოდ ერთი წყლის მილიდან ვღებულობთ წყალს, და იქაც ხშირად მატლებიანია. საჭირო იყო სანამ ამ მოვლენას არ გამოუწვევია ცუდი შედეგები ლეგიონში მიექციათ ყურადღება და მოეწყოთ წყლის ადუღება.

წყალი დღემდე კიდევ ვერ აუდუღებიათ ჩვენთან, რამაც გამოიწვია ზოგიერთ წითელ არმიელების დაავადმყოფება მუცლის ტკივილით და მრავალი სხვით.

იმედი გვაქვს ეხლა მაინც, მიაქცევენ ყურადღებას ამას და დღეიდან მაინც მოგვცემ საშუალება დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილება გადადუღებული წყლით.

სამხკორი **დურბინდი.**

## საჭიროა გაფრთხილება.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

იქ, სადაც ცხენოსანი ლეგიონია დაბანაკებული, ჩამოდის პატარა რუ, რომლითაც ვსარგებლობთ ცხენების დასაბანათ და წყალსაც იქ ვალევინებთ. სამწუხაროდ სულ არ ექცევა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს რუ ჩამოუდის ერთ სოფელს, რომლის მცხოვრებლები ამ რუში ამზადებენ საქალამნე ხარისა და სხვათა ტყავებს, ალციან თმებს, ტყაპავენ და სხვა.

ვინ იცის როგორი ავადმყოფობით არ იყვენ შეპყრობილი, ის საქონლები, რომლებსაც ეს ტყავები გააძვრეს? ყველა ეს ცხენებისათვის უდიდესი ზიანის მიმყენებელი უნდა იქნეს.

ამხ. ვეტ-ექიმო, მიიღე ამის წინაამდეგ საჭირო ზომები. ასეთი გაბინძურებული რუთი ცხენების ბანა დაუშვებელია.

**წ. არმ. ჩახაია.**

## რუსული მეცხრე ლეგიონი ჩვენთან

**პირველი ლეგიონი.**

6 ივლისს გვესტუმრა ბანაკში რუსული მეცხრე ლეგიონი. ეს წინასწარ ვიცოდით და ამიტომ შესახვედრი თადარიგი დილიდანვე დავიჭირეთ.

ყველა წითელ არმიელებმა დაასუფთავეს თავიანთი კარვები. ლენინის კარვები, კლუბი და სხვა თავის ადგილზე იდგენ.

როდესაც ყველაფერი მოწესრიგებული იყო, ყველა ასეულებმა მოვიყარეთ თავი ბანაკის წინ და სამხედრო ორკესტრის გრიალზე გაჩაღდა ცეკვა თამაში.

რადგან ჯერ კიდევ ადრე იყო და სტუმრებს ადრე არ მოველოდით, ლეგიონის თავმა მოახდინა ქიმიური თავდაცვის განგაში.

ასტყდა ზარების რეკვა და წითელ არმიელები ერთი წუთის განმავლობაში თავიანთ კარვებში იყვენ, ორი წუთიც არ გასულიყო, რომ ყველა შეჭურვილი იყო ქიმიური თავდაცვის იარაღებით (ანტიაირებით) და მწყობრად ეწყობოდენ მოწინავე ხაზზე.

ყველა სამზადისი სათანადოთ იქნა შესრულებული, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადა ლეგთავმა თავის არმიელებს.

ნილბების ჩამოხდისა და ისევ თავის შეყრის შემდეგ, კიდევაც გამოჩნდა მეცხრე ლეგიონი, ორკესტრით.

ჩვენი ლეგიონი უკვე ჩამწკრივებული იყო შესახვედრი წესით. მივესალმეთ ერთმანეთს, ორკესტრებმა დააგუგუნეს შესახვედრი ჰიმნები, რის შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ჩვენი ლეგიონის და მეცხრე ლეგიონის უფროსები, რომლებიც აღნიშნავდენ თავის სიტყვებში ამ ორი ნაწილის ერთმანეთთან დაახლოების მნიშვნელობას.

მიტინგის დასრულების შემდეგ რუსი ამხანაგები მივიწვიეთ ჩვენი კარვების დასათვალიერებლად და საერთოდ ჩვენი ყოფა ცხოვრების გასაცნობათ, რამაც ისინი მეტად დააკმაყოფილა.

რუს ამხანაგებს ძლიერ მოეწონათ აგრეთვე ჩვენი სახადილო და მშვენივრად მოწყობილი ლენინის მინდორი.

კარვების ირგვლივ დათესილი გვაქვს სიმინდი და ლობიო. რუსი ამხანაგები გაკვირვებული უცქეროდენ ამას და კითხულობდენ თუ რა საჭირო იყო ისინი.

ყველა ამის შემდეგ ჩვენსა და რუსულ ლეგიონს შორის გაიმართა სასპორტო შეჯიბრი.

მთელი დღე ამნაირად გავატარეთ ერთმანეთთან საუბარსა და ყოფა ცხოვრების გაცნობაში.

რუსი ამხანაგები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ და წასვლისას მხურვალეთ დაგვემშვიდობენ.

სამხკორი **დ. კაკვაძე.**

# პარტიული ცხოვრება.

**მესამე ლეგ. პირველ საფ. პარტსკოლის მუშაობიდან.**

ჩვენს ლეგიონში კარგა ხანია არსებობს პირველი საფეხურის პარტსკოლა, რომელიც განსაკუთრებით გაზაფხულიდან სისტემატიურად აწარმოებს მეცადინეობას.

მაისში მეცადინეობა უფრო მოისუსტებდა, რადგან ერთხელ მეტად არ შემდგარა. ამას ჰქონდა თავისი საპატიო მიზეზი: ბანაკად გავდიოდით და იმ დროს, როდესაც ყველაფერი ბანაკში გადაგვქონდა და შემდეგ გვჭირდებოდა მათი ისევ მოწყობა, ცხადია მეცადინეობა მოუხერხებელი იყო.

ბანაკში კი მთელი ივნისის თვის განმავლობაში სისტემატიურად სწარმოებდა სკოლაში მუშაობა. ყოველ მეცადინეობაზე, ყოველთვის ესწრებოდა ამხანაგთა მთელი შემადგენლობის 85 პროც. მეცადინეობა ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს ერთ ჯგუფად, ხოლო დღეიდან განზრახულია მეორე ჯგუფის შექმნაც. მოხსენებები იკითხება კითხვა-პასუხის სისტემით, რასაც გაცილებით დიდი შედეგები მოაქვს.

საჭიროა ყველა ამხანაგები უფრო მონდომებით და ენერგიით მოეპყრობოდენ მეცადინეობის საქმეს. მომავალში მაინც საჭიროა მეცადინეობას ესწრებოდეს მსმენელთა შემადგენლობის მთელი ასი პროცენტი.

მხოლოდ მაშინ მივაღწევთ დასახულ მიზანს და გავამართლებთ ჩვენი მესვეურების იმედებს.

მაშ მეტი ყურადღება პარტსკოლაში მეცადინეობას.

პოლიტხელი გ—ტი.

## შეერთებული ქვ. ბატარეიის კომუჯრედი.

ეს კომუჯრედი თავისი საქმიანობით ოდნავად არ ჩამოუარდება სხვა ნაწილების კომუჯრედებს, განსაკუთრებით არ ჩამორჩება ჩვენი ლეგიონის ბატარეიების კომუჯრედებს.

თანახმად ინსტრუქციისა, კომუჯრედში სისტემატიურად ტარდება კრებები, ხოლო ღია კრებებ კი ყოველთვის ითვლის აუარება უპარტიო ამხანაგებს. კომუჯრედის დადგენილებით ყოველ კვირაში სამჯერ წითელ კუთხეში ტარდება ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ხმამაღალი კითხვა. ესწრებიან უპარტიო და პარტიული ამხანაგებიც.

ასე რომ ჩვენი კომუჯრედის მუშაობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელია.

უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი თითქმის ყოველთვის ესწრება წითელ კუთხეში წარმოებულ ხმამაღალ კითხვებს და თავისი ცოდნით საგრძნობი გამოცოცხლება შეაქვს მეცადინეობაში. ეს ამხანაგი თვითონაც აძლევს წითელ არმიელებს სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებს და თუ ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს, შემდეგ თვითონვე განმარტავს, რითაც დიდი კმაყოფილი რჩებიან წითელ არმიელები.

პარტკორი უტიე.

# ამბები სოფლებიდან.

**სამოსწავლო წლისათვის.**

თელავის აღმასკომმა დაავლა ყველა სათემო აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა მომავალი სამოსწავლო წლისათვის შეაკეთონ ყველა დაზიანებული სასკოლო შენობები.

**წისქვილის გადაცემა.**

სოფ. კირცხის (ზუგდიდის მაზრა) აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ გლეხკომს წისქვილი.

**ელექტრონის გაყვანა.**

ბორჯომის ჰიდრო ელსადგურიდან აგარაკ ცემში და წაღვერში უკვე გაიყვანეს ელექტრო სინათლე.

**სანიტარია სოფლად.**

სოფ. ტყვიავის აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს კომისია, რომელსაც დაევალება თვალყური ადევნოს სოფელში სანიტარული პირობების დაცვას.

**გაზეთები გლეხებისათვის.**

წითელი ქალაქის სათემო აღმასკომმა დაადგინა გამოიწეროს სოფლებისათვის 25 ცალი „ახალი სოფელი“, 2 ცალი „მუშა“ და 2 ცალი „კომუნისტი“.

**სამკითხველი წაღვერში.**

წაღვერის აღმასკომმა დაადგინა გახსნას სანიმუშო სამკითხველო, რომელიც მოთავსებული იქნება ადგილობრივი თეატრის შენობაში.

**სოფლელების შუამდგომლობა.**

სოფ. საკეციის (რაჭა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე, მათი სოფლის სადმელის თემზე მიწერის შესახებ.

**წყალდიდობის საშიშროების გამო.**

სამხრ. ოსეთის ცაკმა დაადგინა დაანგრიოს ცხინვალში მდინ. ლიახვის პირად არსებული საავადმყოფო, რადგანაც მას საშიშროება მოელის მდინარის ადიდების შემთხვევაში. არსებული საავადმყოფოს მაგიერ აშენებული იქნება ახალი საავადმყოფო.

**სიძველეთა დასაცავად.**

გორის აღმასკომის მიწერილობის თანახმად მაზრის ყველა სოფლებში ეწყობა გლეხობის მიერ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომისიები.

# ახალი ამბები.

— **რკინისგზების სკოლათა მასწავლებლების გადასამზადებელი კურსები** გაიხსნება 15 ივლისს ხაშურში.

— **კონიაკის ქარხნები.** წარმოკავშირმა გადასწყვიტაააგოს 2 კონიაკის ქარხანა. ერთი აღმოსავლეთ საქართველოში და ერთიც დასავ. საქართველოში.

— **დაფნის ფოთოლი.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა სამეგრელოში დაამზადოს 6 ვაგონი დაფნის ფოთოლი.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** საქ. შრომის კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს ყველა საწარმოო დაწესებულებებში შრომის პირობების გამოკვლევა.

— **დასახიჩრებულთა არტელები.** ტფილისში ამ ჟამად ითვლება დასახიჩრებულთა 40 არტელი.

— **სახელმწიფო ღვინის ტრესტი** როსტოვში ხსნის თავის განყოფილებას.

— **მატყლის დამზადება.** წარმოკავშირი ფიქრობს დაამზადოს დუშ. მაზრაში 5 ათასი ფ. მატყლი და ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში კი 8 ათასი ფუთი.

— **სამკრხი ფული.** ტფ. დამზღვევმა კასამ ივნისის განმავლობაში დაზღვეულებს დაურიგა დახმარების სახით სიკვდილიანობის შემთხვევებში 4.982 მან. 83 კაპ.

## უცხოეთის არმიებში.

**უცხო ენები პოლონეთის არმიაში.**

პოლონეთის სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა არმიის მეთაურთა შემადგენლობისათვის უცხო ენების სწავლების პროექტი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა არმიაში ფრანგულის, რუსულის, ინგლისურისა და გერმანულის შესწავლას.

ამასთანავე პროექტში გათვალისწინებულია მეთაურებისათვის საბეჭდ მანქანებზე და სტენოგრაფიაზე მუშაობის სწავლება. თითეულ გარნიზონთან დაარსებული უნდა იქნეს უცხო ენების სპეციალური კურსები.

სამი წლის განმავლობაში ცენტრალურ სამხედრო დაწესებულებებსა და შტაბებში ყველა თანამდებობის პირნი შეცვლილნი იქნებიან—უკიდურეს შემთხვევაში ორი უცხო ენის მცოდნე კანდიდატებით.

ამასთანავე ერთად მზადდება პროექტი, რომლის თანახმად ყველა სამხედრო სასწავლებლებში სავალდებულოდ შემოდის ყველა ზემოდ ნახსენები უცხო ენების სწავლება.

**იაპონიის არმია და ფლოტი.**

ქ. იოკოსუკში ახალი ავიობაზის აშენების საქმეზე მუშაობა დაკვრითი წესით სწარმოებს, და საგრძნობლად წაიწია წინ.

განზრახულია მისი დასრულება 1926 წლის თებერვლისათვის. მისი წყალტევა ედრება 27 ათას ტონს.

ხალი ავიობაზაში მოათავსებული იქნებიან 70—80 საომარი, მზვერავი და გამანადგურებელი ჰაეროპლანებს.

ბანის შეჯაშვნა სწარმოებს უკანასკნელი მიღწევით. შეიარაღებულია 12—20 სანტიმეტრიან ქვემეხებით და საზენიტო იარაღებით.

ამნაირად ეს ავიობაზა უდიდესია ამ ჟამად მთელ ქვეყანაზე არსებულ ბაზებს შორის.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**საფრანგეთის საუკეთესო ყუმბარმზიდავი.**

ერთ ერთ ფრანგული ფირმის „პოტეზის“ მიერ დამზადებული იქნა სამ მოტორიანი—ყუმბარმზიდავი— „პოტეზ“ XIX“-ე, რომელსაც საფრანგეთის საჰაერო ფლოტში ამ ჟამად სთვლიან ერთ საუკეთესო საჰაერო ერთეულად.

ყუმბარ მზიდავი მხოლოდ ღამით გაფრენებისათვის იქნება გამოყენებულ სპეციალურად და დაცილებული ადგილებისათვის. კაბინის გარდა ჰაეროპლანის ყველა ნაწილები დამზადებულია დურ-ალიუმინისა და ფოლადისაგან. კაბინა მეტად სრული, თავისუფალი და უზრუნველყოფილია ჰაეროპლანების ყველა სახიფათო ნაწილებისაგან.

კაბინის წინ მოთავსებულია პილოტისა და ბომბების გადამყრელის დასაჯდომები. კაბინის უკან კი იმყოფება ტყვიამფრქვევზე მომუშავის ადგილი. კაბინაში შესვლა შეიძლება გვერდის კარებით. ფიუზელიაჟის წინა ნაწილში მოთავსებულია ცენტრალური მოტორი; ხოლო გვერდის მოტორები კი იმყოფებიან ფიუზელიაჟის ორივე მხარეზე. თითეული მოტორის ძალა უდრის 300 ცხენის ძალას.

ჰაეროპლანის მაღლა აფრენის მაქსიმუმი უდრის 6.800 მეტრის სიმაღლეს. 2.000 მეტრის სიმაღლეზე ხსენებული ყუმბარმზიდავი ანვითარებს 185 ვერსს საათში.

## რებუსი.




## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 3.**

გვაქვს მაგიდა, რომელზედაც დალაგებული წუმწუმის ღერები, ჩვენი თვალის წინ აღწერს რიცხვ 30-ს. საჭიროა ამ წუმწუმებიდან ისე გამოვაკლოთ თუთხმეტი, რომ მივიღოთ ათი. როგორ უნდა მოვიქცეთ?

**მზის, დედამიწისა და მთვარის შედარებითი სინათლე-განათება.**

ახალი მთვარის დადგომის შემდეგ, როდესაც გამოჩნდება ცის დასავლეთით ნამგლისებური ახალი მთვარე, ჩვენ ხშირად შეგვიძლია დავინახოთ ამ მთვარის დანარჩენი ნაწილიც, რომელიც უფრო მკრთლად არის განათებული და აშკარად განსხვავდება მთვარის ნამგლისებური განათებული ნაწილისაგან.

ამ მოვლენას უწოდებენ ფერფლისებურ სინათლეს. მთვარის ძლიერ განათებული ნამგლისებური ნაწილი უშუალოდ განათებულია მზის სხივებით, მკრთლად განათებული ე. ი. ფერფლისებურად განათებული ნაწილიც მზის სხივებით არის განათებული, მაგრამ არა უშვალოდ, არამედ დედამიწის ზედაპირიდან არეკილი მზის სხივებით. ე. ი. დედამიწა განათებულია მზით, ხოლო შემდეგ განათებული დედამიწა თავის მხრივ მკრთალად ანათებს მთვარის ხსენებულ ნაწილს.

გავრის ობსერვატორიის ასტრონომმა (ამერიკა) კინგმა ამ უკანასკნელ ხანებში მოახდინა მთვარის მკრთალად განათებული ნაწილის სინათლის, სავსე მთვარის სინათლის და მზის სინათლის გამორკვევა, ვარსკვლავების სინათლესთან შედარებით.

კინგის გამორკვევით მთვარის მკრთალად განათებული ნაწილის სინათლე უდრის სამხრეთის ცაზე ყველაზე უფრო ძლიერად განათებული ვარსკვლავის სინათლეს. მზის სინათლის მქონ სხეულის მისაღებათ იმავე კინგის აზრით მოგვიხდებოდა შეგვეერთებია ე. წ. ვარსკვლავ სირიუსის ოდენა სინათლის 55 მილიარდი ვარსკვლავები და 30 მილიარდი პოლიარულ ვარსკვლავის ოდენა ვარსკვლავები.

მთვარის განათება სავსე სისავსის დროს, 620 ათასჯერ ნაკლებია მზის განათებაზე და მისი განათება კი უდრის პირველი სიდიდის 120 ათას ვარსკვლავის განათებას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო.**

გაზ. „წითელ არმიელის“ № 150-ში მოთავსებულია ამხ. ლ-ის მეორეჯერ საპასუხო წერილი, რომელშიდაც ბრალს მდებს თითქოს მე უყვიროდე წითელ არმიელებს და სხ. წერილი არ შეიცავს სიმართლეს და რომ მე ამის დამტკიცება შევსძლო საბოლოოდ, ამხ. ლ-ს ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში. სასამართლოში ჩემის მხრივ ვასახელებ ამხ. ამხ. იოსებ ანთელავას და სამხკორ შ. კვინიკაძეს.

ლ-ს ვსთხოვ თავის მხრივ დაასახელოს თავის მედიატორები. საქმის გარჩევის დროსთა და ადგილად ვნიშნავ: 13 ივლისს, ჩვენსავე ლეგიონში საღამოს 5 საათზე, ხოლო თუ ამას კატეგორიულად მოითხოვს ამხ. ლ-ი, საქმე გაირჩეს ლეგიონის პასუხის მგებელი სამხკორის თანდასწრებით.

პატივისცემით ა. რამიშვილი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ბაშელს** წერილი „ცოტა რამესაც ყურისგდება უნდა“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. წულაიას** წერილი „იყო თუ არა ღმერთი“ არ გამოდგა.

**ამხ. ხარშილაძეს** კორესპონდენცია „დროა ბოლო მოეღოს ამნაირ მოვლენებს“ გაუშვით კედლის გაზეთში.

**ამხ. გუშაგს** შენიშვნა „არ არის ლამაზი“ გაუშვით კედლის გაზეთში.

**ამხ. კოპალეიშვილს** „უვადო შვებულებაში წასვლის შესახებ“ თქვენი წერილი არ გავა.

**ამხ. სიხარულიძეს** „მესამე ლეგ. საკავშირო კომისიის მუშაობის შესახებ“ არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

დრ. რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.